

ჭიათურის მუნიციპალიტეტის წყლის რესურსების შეფასება

დემეტრე მოდებაძე

ელ. ფოსტა: demetre.modebadze@ens.tsu.edu.ge

*გეოგრაფიის დეპარტამენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
ი. ჭავჭავაძის გამზ. 3, 0179, თბილისი, საქართველო*

წყლის რესურსები, განსაკუთრებით მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენენ. მტკნარი წყლის რესურსები საქართველოში წარმოდგენილია მდინარის ჩამონადენით, მიწისქვეშა წყლებით, მყინვარების, ტბების, ჭაობების და წყალსაცავების წყლებით. ამასთან წყლის მოხმარება ყოველწლიურად იზრდება, რადგან დროთა განმავლობაში იზრდება მოსახლეობის რაოდენობა, უმჯობესდება მისი ცხოვრების დონე, მალდება სანიტარულ-ტექნიკური და საყოფაცხოვრებო პირობები. გარდა ამისა ფართოვდება მრეწველობა, რომელიც მიუხედავად ტექნიკური პროცესების სრულყოფისა და დამზოგი ტექნოლოგიების დანერგვისა, დღემდე წყლის უდიდესი მომხმარებელია. არანაკლებ მოთხოვნებს უყენებს წყალს სოფლის მეურნეობა, რომელიც მას მოიხმარს როგორც სასმელად, ასევე მეცხოველეობის განვითარებისათვის და ირიგაციის თვალსაზრისით.

საქართველოს ტერიტორია საკმაოდ მდიდარია წყლის რესურსებით. მიუხედავად ამისა, ჩამონადენი არათანაბრად არის განაწილებული როგორც ტერიტორიის, ასევე სეზონების მიხედვით და ამიტომ მათი გამოყენება არარაციონალურად ხდება.

ნაშრომში განხილულია ჭიათურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული როგორც ზედაპირული ასევე მიწისქვეშა წყლის რესურსები, მათი გამოყენება, განაწილება და მოხმარების სამომავლო პერსპექტივები და ჰიდროეკოლოგიური მდგომარეობა.